

## ხელშეკრულება №41

2019 წლის 22 თებერვალი

ქ. თბილისი

ერთი მხრივ, სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, (მისამართი: ანა პოლიტკოვსკაიას ქ N61, 0186, თბილისი.) წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ნინო თოფჩიძის სახით (შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“) და მეორე მხრივ შპს Innovative Systems Management (მისამართი: დავით გამრეკელის ქუჩა #10, ბინა #70, თბილისი 0194, საქართველო) მისი დირექტორის ნანა ხუსკივაძის სახით (შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“), ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

- 1.1. „ხელშეკრულება შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
- 1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
- 1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
- 1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.
- 1.6. „მომსახურება“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

### 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის უფროსის რაისა ნიჟარაძის 24.01.2019 წლის მ/ბ N15/02-103-ის თანახმად, ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის (ILS) ვებ-კატალოგის სერვისის ერთწლიანი პაკეტის და სერვისის გამოყენების პრაქტიკული გაიდების - „ბიბლიოთეკების მომსახურებების“ (CPV 92511000) შესყიდვა შემდეგი მომსახურებით:

2.2. ნასყიდობის საგანი ანუ ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის ერთწლიანი სერვისი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის ონლაინ კატალოგის (OPAC) მოდული. მოდულის აღწერილობა მოცემულია დანართში #1, რომელიც ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.
- ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის კატალოგიზაციის მოდული. მოდულის აღწერილობა მოცემულია დანართში #1, რომელიც ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.
- სისტემის ტექნიკური უზრუნველყოფა
- წლიური ჰოსთინგი
- სისტემის განახლება ბოლო სტაბილურ ვერსიაზე (წელიწადში ერთხელ)
- შესაბამისი ექსპერტული მხარდაჭერა

2.3. ნასყიდობის საგნის გადაცემა და შესაბამისი საფასურის გადახდა დასტურდება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით.

2.4. ნასყიდობის საგნის ფარგლებში მიღებულ პროდუქტებზე და მომსახურებებზე ვრცელდება მწარმოებლის მიერ დაწესებული გამოყენების სტანდარტული წესები და პირობები, რომელთა შესრულებაზე მყიდველი თავად არის პასუხისმგებელი შესაბამისი მწარმოებლის წინაშე.

### 3. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

3.1. ხელშეკრულება ძალაში შედის 2019 წლის 23 თებერვლიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 მარტის ჩათვლით.

### 4. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

4.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: 1800 (ათას რვაას) ლარს.

4.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეიცავს შემსრულებლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

### 5. მომსახურების გაწევის წესი და ადგილი

5.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ადგილია საქართველო.

5.2. მომსახურების გაწევა ხდება ამ ხელშეკრულების დადგენილი წესის მიხედვით ხელშეკრულების გაფორმებიდან 2020 წლის 23 თებერვლის ჩათვლით.

### 6. მხარეთა ვალდებულებები

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების 2.1. პუნქტში მითითებული მომსახურება.

6.2. თუკი ხელშეკრულების 2.2 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურება არ აღმოჩნდება სრულყოფილი, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნის საპასუხოდ, გამოასწოროს ხარვეზი.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.4. შემსყიდველი ვალდებულია მომსახურების გაწევის შემდეგ გადაიხადოს მისი ფასი ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

### 7. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა.

### 8. შესყიდვის საგნის მიღება-ჩაბარების წესი

8.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად ავტომატურად, მას შემდეგ რაც მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ანგარიშფაქტურა/ინვოისი და შემსყიდველის მხრიდან არ არის გამოვლენილი ხარვეზი მომსახურებაში.

8.2. შემსყიდველის მხრიდან ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გარდა მიღება-ჩაბარების აქტზე უფლებამოსილი ხელმოწერი პირია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის უფროსი რაისა ნიჟარაძე.

## 9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

- 9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,01%-ის ოდენობით.
- 9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
- 9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის მნიშვნელოვანი დარღვევის (გამოუსწორებელი ნაკლის, ისეთი ნაკლის, რომლის გამოსწორება შეუძლებელია განსაზღვრული მატერიალური და დროის დანახარჯების გარეშე, ან რომელიც კვლავ აღმოჩნდება ნაკლის გამოსწორების შემდეგ) შემთხვევაში.

10.2. შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ თუ:

- ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადაში მიმწოდებელს არ შეუძლია მომსახურების სრულად ან ნაწილობრივ მიწოდება;
- ბ) მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;
- გ) შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
- დ) მიმწოდებლის მიმართ დაიწყო გაკოტრების საქმის წარმოება;
- ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

## 11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოებებით.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, მომსახურების მიწოდებაზე ემზარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ.).

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული

ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

## 12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის და შეწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

12.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

12.4. ხელშეკრულების 11.3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 10 სამუშაო დღით ადრე წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## 13. დავების გადაჭრის წესი

ამ ხელშეკრულების შესრულების დროს წამოჭრილი ყველა დავა შეძლებისდაგვარად გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო.

## 14. დასკვნითი დებულებები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ორი რჩება შემსყიდველს, ერთი – შემსრულებელს).

### მხარეთა რეკვიზიტები:

#### შემსყიდველი:

სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N61  
საიდენტიფიკაციო კოდი: 205224700  
მომღები ბანკი \_ სახელმწიფო ხაზინა  
ბანკის კოდი: TRESGE22  
მომღების ანგ/სახაზინო კოდი \_7 0904 9921

#### მიმწოდებელი:

შპს „Innovative Systems Management“  
ქ. თბილისი, დ. გამრეკელის ქუჩა #10, ბინა #70  
ს/კ 200274443  
სს „პროკრედიტ ბანკი“  
ბანკის კოდი: MIBGGE22  
ა/ა GE03 PC04 8360 0100 0009 11

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი  
ნინო თოფურაძე

დირექტორი  
ნანა ხუსკივაძე

## ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის

### ღია ონლაინ კატალოგის, კატალოგიზაციის მოდულის აღწერა

#### სარჩევი

1. შესავალი
2. ღია ონლაინ კატალოგის (OPAC) მოდული
  - 2.1. ზოგადი აღწერა
  - 2.2. ძირითადი ფუნქციები
3. კატალოგიზაციის მოდული
  - 3.1. ზოგადი აღწერა
  - 3.2. 2013 წლისათვის ინტეგრირებული ბიბლიოთეკები
4. დამატებითი ფუნქციები და სერვისის არჩევა

## 1. შესავალი

ევერგრინის ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემა ევროპის ქვეყნებიდან პირველად გაერთიანებული ქართული კატალოგი შეუერთდა 2010 წელს.

ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემა მოიცავს ღია კატალოგს, კატალოგიზაციის მოდულს, საბიბლიოთეკო ერთეულების ცირკულაციის მოდულს და ბიბლიოთეკებს შორის რესურსების გაზიარების საშუალებას იძლევა. ამ სისტემის საშუალებით განვითარდა პირველი გაერთიანებული ქართული ელექტრონული კატალოგი, რომელშიც ასახულია საუნივერსიტეტო და სპეციალიზებული ბიბლიოთეკების კოლექციები.

Evergreen-ის პროექტის ფარგლებში ვითარდება ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემა (ILS), რომელსაც დღეისთვის უკვე იყენებს 1000-ზე მეტი ბიბლიოთეკა მსოფლიოში (აშშ 30 შტატი, კანადა, საქართველო, ჰოლანდია, ჩეხეთის რესპუბლიკა, მექსიკა, ინდოეთი, ავსტრალია და სხვ.). Evergreen-ის განვითარება ჯორჯიის შტატში დაიწყო 2006 წელს.

ჩვენი გაერთიანებული კატალოგი ამ ეტაპზე არის ერთადერთი ეროვნული მასშტაბის ვებ-კატალოგი, რომელიც აერთიანებს წამყვან ქართულ უნივერსიტეტებსა და კვლევით ცენტრებს.

## 2. ღია ონლაინ კატალოგის (OPAC) მოდული

### 2.1. ზოგადი აღწერა

ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის ონლაინ-კატალოგის (OPAC) სერვისი აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

- აქვს თანამედროვე საბიბლიოთეკო სტანდარტის MARC21-ის მხარდაჭერა;
- წარმოადგენს კონსორციუმის ტიპის ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის ნაწილს;
- შიდა საუნივერსიტეტო ბიბლიოგრაფიული მონაცემების გარდა, შეიცავს გარე ელექტრონულ რესურსებს. მოცემული მომენტისათვის ერთი საძიებო სისტემის ფარგლებში იძებნება ბიბლიოგრაფიული ჩანაწერები:
  - გლობალური ღია ელექტრონულ ბიბლიოთეკებიდან (მაგ. Project Gutenberg);
  - საქართველოში მოქმედი ხუთი საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკების ინტეგრირებული კატალოგიდან;
- უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო ინფორმაციის უსაფრთხოების და საიმედოობის დაცვის მაღალი დონე;
- უნივერსიტეტის მხრიდან მოითხოვს მინიმალურ ინფრასტრუქტურული ხარჯებს, ვინაიდან გამოყენებულია ღრუბლოვანი (Cloud) ტექნოლოგია.

## 2.2. ძირითადი ფუნქციები

ღია ონლაინ კატალოგის მოდული შეიცავს შემდეგ აუცილებელ ფუნქციებს:

- ძიების ინტერფეისი (მკითხველის მხარე) - ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია საკუთარი სურვილისამებრ დააკონფიგურიროს მისთვის სასურველი ძიების პარამეტრები, შემდეგი ფუნქციების გამოყენებით:
  - მოიძიოს მისთვის საინტერესო წიგნი, როგორც გაერთიანებულ/ინტერინსტიტუციურ, ასევე ცალკეული უნივერსიტეტის, საფაკულტეტო ან სპეციალიზებული ბიბლიოთეკების ინტეგრირებულ კატალოგებში;
  - გაფართოებული ძებნის პარამეტრები:
    - მომხმარებლის სამუშაო დაფა მოიცავს ძებნის პარამეტრებს, გაფართოებულ ძებნას, რიცხვებით ძებნას და ექსპერტულ ძებნას;
    - ძებნას სხვადასხვა ფორმატში: კარტოგრაფიული მასალა, ხელნაწერები, კომპიუტერული ფაილები;
    - ძებნა ენის მიხედვით ძიება;
    - საძიებო სიტყვით ძებნა, ავტორი, სათაური, ჟურნალის სათაური, თემა, სერია, შენახვის შიფრი;
    - ბიბლიოთეკის ადგილმდებარეობის მიხედვით ძიება;
    - რიცხვებით ძიება: ერთეულის ბარკოდი, ბიბლიოგრაფიული შენახვის შიფრი, თაროზე შენახვის შიფრი, ISBN, ISSN, LCCN, TCN და ა.შ.
    - ექსპერტული ძიება: ველი, თეგი, ქვევლები და ა.შ.
    - ძიების შეთავაზება კატალოგში გადასვლის შემდეგ;

სასურველი ჩანაწერის გამოტანის გვერდი შეიცავს სულ ცოტა შემდეგ ჯგუფებს:

- მოკლე ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი, MARC 21-ის სრული ჩანაწერი, ვირტუალური თარო („მონათესავე“ ერთეულების ჩვენებით).

შესაძლებელია ჯილდოების მინიჭება, მკითხველის რევიურება და კონკრეტული დასახელების სხვისთვის შეთავაზება.

ასევე, თემატური და სხვა პარამეტრების თეგები და ავტომატური სინქრონიზაცია Google Books პორტალთან - შესაბამისი მონაცემების ავტომატური გამოტანის შესაძლებლობით.

ამავე გვერდზე ჩანს ინფორმაცია წიგნის რაოდენობის, მდებარეობის, სტატუსის შესახებ.

შესაძლებელია სისტემაში ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების შაბლონის თავისუფალი მოდიფიკაცია.

შესაძლებელია ძიების ფანჯარის ინტერფეისზე საუნივერსიტეტო გერბის განთავსება.

სერვისების გაფართოების შემთხვევაში, სისტემა ასევე შეიცავს სისტემაში ავტორიზაციისა და საკუთარ ანგარიშზე შესვლის შესაძლებლობას და უზრუნველყოფილია სრული სინქრონიზაცია ცირკულაციის მოდულთან (მისი ფუნქციონირების შემთხვევაში).

### 3. კატალოგიზაციის მოდული

#### 3.1. ზოგადი აღწერა

მოცემული მოდულის დახმარებით სრულდება სისტემის სხვადასხვა ტიპის ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების მონაცემთა ბაზაში შეტანა/რედაქტირება/ამოშლა. მნიშვნელოვანია მონაცემების გადმოწერის ფუნქციის არსებობა (Z39.50), MARC21 იმპორტ/ექსპორტი, უნიკოდის მხრდაჭერა.

- ახალი ჩანაწერის შექმნა - ბიბლიოთეკას შეუძლია შექმნას თავის ფონდში არსებული ერთეულების ახალი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი და შეიტანოს ის ჩანაწერების მონაცემთა ბაზაში;
- უკვე შექმნილი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის რედაქტირება - კატალოგერებს შეუძლიათ ნახონ უკვე შექმნილი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი, მოახდინონ მისი რედაქტირება და ცვლილების შენახვა, ასევე არასასურველი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის წაშლა თავიანთი ბაზიდან;
- მონაცემთა გადმოწერის ფუნქცია - Z39.50 პროტოკოლით მონაცემების მიგრაცია.
  - Z39.50 არის კომუნიკაციის პროტოკოლი, რომელიც უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სისტემებს შორის ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის გაცვლას.
  - Z39.50, როგორც კლიენტისა და სერვერის პროტოკოლი დაშორებული მონაცემთა ბაზებში ინფორმაციის ძიებისა და მოპოვებისათვის განვითარდა National Information Standards Organization (NISO) მიერ ISO 239.50 სტანდარტის საფუძველზე. მის მხარდაჭერას ამჯერად უზრუნველყოფს კონგრესის ბიბლიოთეკა (აშშ).
  - Z39.50 ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის მნიშვნელოვანი კომპონენტი და ფუნქციაა. ის შესაძლებლობას აძლევს ბიბლიოთეკებს გაცვალონ ბიბლიოგრაფიული მონაცემები.

#### 3.2. 2013 წლისათვის ინტეგრირებული ბიბლიოთეკები

ამ ეტაპზე კატალოგიზაციის მოდულში Z39.50 პროტოკოლით შესაძლებელია ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების გაცვლა შემდეგ საერთაშორისო ბიბლიოთეკებთან:

British Library - ბრიტანული ბიბლიოთეკა (გაერთიანებული სამეფო) მოიცავს ყველა ბრიტანულ და ირლანდიულ გამოცემას. კოლექციაში 150 მილიონზე მეტი ერთეულია, მრავალ ენაზე.

AMICUS - კანადის ეროვნული გაერთიანებული კატალოგი მოიცავს 1.500 ბიბლიოთეკის 30 მილიონამდე ერთეულს.

U.S. National Library of Medicine - აშშ-ს მედიცინის ეროვნული ბიბლიოთეკა მსოფლიოში ყველაზე დიდი ბიბლიოთეკაა ბიომედიცინის დარგში, ყოველწლიურად მთელი მსოფლიოდან მას მილიარდი მკვლევარი მიმართავს.

University of Toronto Libraries - ტორონტოს უნივერსიტეტის (კანადა) ბიბლიოთეკების კატალოგი მოიცავს 128 ენაზე გამოცემული 12 მილიონი ნაბეჭდი ერთეულისა და 238.000 სერიული გამოცემის ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერს.

Bibliothèque de l'Université de Montréal - მონრეალის უნივერსიტეტის (კანადა) ბიბლიოთეკების ქსელი მოიცავს 4 მილიონ ფიზიკურ და 300 000 ელექტრონულ ერთეულს სხვადასხვა დისციპლინაში.

York Library - იორკის უნივერსიტეტის (კანადა) ბიბლიოთეკების ქსელი მილიონობით გამოცემას და ელექტრონულ რესურსს ფლობს.

University of Western Ontario Library - დასავლეთ ონტარიოს უნივერსიტეტის (კანადა) ბიბლიოთეკა აერთიანებს დასავლეთ კანადის კვლევით ბიბლიოთეკებს, რომლებიც მოიცავს 11 მილიონ ერთეულს.

University of Ottawa Library - ოტავას უნივერსიტეტის (კანადა) ბიბლიოთეკებში დაცულია 2 მილიონზე მეტი ნაბეჭდი წიგნის ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი.

University of Alberta Libraries - ალბერტას უნივერსიტეტის (კანადა) ბიბლიოთეკები მოიცავს 14 საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკას.

University of Manitoba Libraries - მანიტობას უნივერსიტეტის (კანადა) ბიბლიოთეკები მოიცავს 20-მდე ბიბლიოთეკას სამედიცინო, მენეჯმენტის, ინჟინერიისა და სხვა სფეროებში.

University of Michigan Library - მიჩიგანის უნივერსიტეტის (აშშ) ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია 8,5 მილიონი ბეჭდური და ციფრული ერთეული.

ოქსფორდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები - მოიცავს 150-მდე ასოცირებულ ბიბლიოთეკას და წარმოადგენს ყველაზე დიდ საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკების სისტემას გაერთიანებულ სამეფოში.

კალიფორნიის ლოს ანჯელესის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები - მოიცავს ბიბლიოთეკებს მრავალფეროვანი კოლექციებით ხელოვნების, ბიომედიცინის, საჯარო პოლიტიკის, აღმოსავლური ენების, სამართლის, ინფორმაციის კვლევების, მუსიკის, სოციალური, ჰუმანიტარული მეცნიერებების, ინჟინერიისა და სხვა დარგებში.

Columbia University Libraries მოიცავს კვლევით ბიბლიოთეკებსა და მრავალფეროვან ციფრულ და საარქივო კოლექციებს 80-მდე დარგში (ანთროპოლოგია, არქიტექტურა, აფრიკული, კორეული, იბერიული და სხვა კვლევები, თეოლოგია, სოციოლოგია, სოციალური სამუშაო, ფილოსოფია, ფიზიკა, ხელოვნება, მუსიკა და სხვა). ასევე საინტერესოა იმითაც, რომ აქ ფუნქციონირებს ქართველოლოგიური კვლევების ცენტრი და ბიბლიოთეკას ქართული წიგნების ფონდიც გააჩნია.

University of Aberdeen Libraries წარმოადგენს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკას, რომელიც მოიცავს დარგობრივ ბიბლიოთეკებს, აგრეთვე დარგობრივ კოლექციათა რესურსცენტრს და აბერდინის უმველეს კამპუსში განლაგებულ სამეფო მუზეუმს.

MIT library წარმოადგენს მრავალფეროვანი რესურსებითა და სერვისებით აღჭურვილ ბიბლიოთეკას საარქივო, აუციო-ვიზუალური, საკონფერენციო, კვლევითი, საგაზეთო მასალებით, ტექნიკური ანგარისებით, ასევე ვირტუალური საცნობარო გამოცემებით,



მონაცემებით საერთაშორისო სტანდარტების შესახებ.

პრინსტონის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა მოიცავს 30-მდე ბიბლიოთეკას შემდეგი დარგების მიხედვით: კულტურის პოლიტიკა, ხელოვნება, სტატისტიკური სერვისები, ციფრული კოლექციები (ციფრული რუკები, გეოსივრცული ინფორმაცია), ევრო კავშირის დოკუმენტაცია, ხელნაწერები, მოსახლეობის კვლევა, საჯარო პოლიტიკა, ახლო აღმოსავლეთის, სოციალურ მეცნიერებები და სხვა.

#### 4. დამატებითი ფუნქციები და სერვისის არჩევა

პროგრამულ უზრუნველყოფას აქვს ინფორმაციის შენახვის მოქნილი ფორმატი წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზის სხვა ინფორმაციულ სისტემებში გამოსაყენებლად, ასევე ფლობს ამგვარ ფორმატში მონაცემთა ბაზის ექსპორტის შესაძლებლობას.

მომწოდებლის მიერ შემოთავაზებულ სერვისის ლიცენზირებასთან დაკავშირებით მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება სერვისის მომწოდებელ მხარეს. შემოთავაზებულია სერვისის მომწოდებლის მხარდაჭერა (Support) სისტემაში შესაძლო ავარიული სიტუაციების აღმოსაფხვრელად.

ზემოთ აღწერილი ყველა ფუნქცია თავმოყრილია ერთიანი საბიბლიოთეკო სისტემის (ILS – Integrated Library System) ფარგლებში, რაც საშუალებას იძლევა შემდგომში უმტკივნეულოდ მოხდეს სერვისის გაფართოება ახალი მოდულების გამოწერის გზით.

#### მხარეთა რეკვიზიტები:

##### შემსყიდველი:

სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N61  
საიდენტიფიკაციო კოდი: 205224700  
მიმღები ბანკი \_ სახელმწიფო ხაზინა  
ბანკის კოდი: TRESGE22  
მიმღების ანგ/სახაზინო კოდი \_7 0904 9921

##### მიმწოდებელი:

შპს „Innovative Systems Management“  
ქ. თბილისი, დ. გამრეკელის ქუჩა #10, ბინა #70  
ს/კ 200274443  
სს „პროკრედიტ ბანკი“  
ბანკის კოდი: MIBGGE22  
ა/ა GE03 PC04 8360 0100 0009 11

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი  
ნინო თოფურიძე

დირექტორი  
ნანა ხუსკივაძე